საბროკერო კომპანია - შპს „თიბისი კაპიტალის“ (ს/კ: 204929961) მიმართ დაკისრებული ფულადი ჯარიმის თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საბროკერო კომპანია - შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/კ 204929961, განკარგულების ნომერი: N468) „პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის“ მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 13 თებერვლის N36/04 ბრძანების საფუძველზე 3 900 (სამი ათას ცხრაასი) ლარით დააჯარიმა.

აღნიშნული მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 2 თებერვლის ივლისის №13/04 ბრძანებით დამტკიცებული „საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის კოდექსის“ მე-13 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის 3 (სამი) ფაქტს და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის 3 (სამი) ფაქტს.